ПРОЛЕТАРЕБО УЗЕЛА ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 41-ე წელი № 145 (11756) | პარასკევი, 24 ივნისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

★

გამარჯვებათა ნათელი გზით

რუსთავი. (საკ. კორ.). ამერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ფურცლსაგალვანი სამაროს მუშებმა და მოსამსახურეებმა, რომლებიც კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდების მოპოვებისთვის იბრძვიან, სასახელოდ გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულებები. წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათასობით ტონა ნაგლინი, დიდი რაოდენობით დაზოგეს ლითონი, მაზუთი, ელექტროენერგია, შვიდწლეულის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 0,5 მილიონი მანეთი.

ეს წარმატებები განაპირობა საწარმოო პროცესების ავტომატიზაციამ და კომპლექსურმა მექანიზაციამ, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებამ, წარმოებაში ახლის, პროგრესულის დანერგვამ.

ფურცელმგლინავებმა, რომლებმაც მოიწონეს რუსთავის ახალგაზრდობის ინიციატივა — იბრძოლონ ქალაქის კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების ქალაქად გადაქცევისათვის, ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. მათ გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ შვიდწლეულის მეორე წლის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვან დიდძალი პროდუქცია; ერთ ტონა პროდუქციის წარმოებაზე გეგმასთან შედარებით დახარჯონ ერთი კილოგრამით ნაკლები ლითონი; ყოველთვიურად 5.000 კილოვატ-საათით შეამცირონ ელექტროენერგიის ხარჯი. 0,5 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

ფურცელმგლინავები არც სწავლაში ჩამორჩებიან. ამჟამად საამქროში 133 კაცს საშუალო და უმაღლესი ტექნიკური განათლება აქვს, 9 მუშა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს, 16 — ტექნიკუმში, ხოლო 22 — მუშაახალგაზრდობის საღამოს სკოლებში. საამქროს უფროსის მოადგილე რ. თანცხაია საკანდიდატო მინიმუმს აბარებს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ რა პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, წართოდ გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის დაარსების 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ქალაქ თბილისის მშრომელებმა ვადამდე — 21 ივნისს დაამთავრეს 1960 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება.

ქალაქის მრეწველობამ ჩვენს ქვეყანას გეგმის გადაჭარბებით მისცა ათობით ლითონსაჭრელი ჩარხი, 114 ტონა ფოლადის სხვადასხვა, 7.209 ცალი ელექტროავტომატი, 6 ცალი ელექტროშემსადუღებელი აპარატი, 3,6 ტონა ელექტროსაიზოლაციო მასალები, ათი ათასობით მანეთის ელექტროდანადგარები, კლასტბასის ნაწარმი, 119 ათასი მეტრი შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, 114 ათასი ფუფაინი ფინდა, 27 ათასი ფუფაინი ფეხსაცმელი, 156 ტონა მზა დაფასოებული ჩაი, 142 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი, 217 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, 50 ათასი დეკალიტრი ყურძნის ღვინო, 192 ათასი ბოთლი შამპანური, 1.920 ტონა მოუხდელი რძის ნაწარმი და ბევრი სხვა პროდუქცია.

დაუცხრომლად ნერგავენ რა ახალ ტექნიკას, შრომატევადი პროცესების მექანიზაციასა და მოწინავე გამოცდილებას, აუმჯობესებენ რა წარმოების ორგანიზაციას, თბილისის სარეწველო საწარმოთა კოლექტივებმა მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და ზეგეგმიური ეკონომიით შვიდწლეულის რესპუბლიკურ ფონდში ათობით მილიონი მანეთი შეიტანეს.

ქალაქის მრწველობა საწარმოთა შორის არიან ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი, სტალინის სახელობის ორთოქიმიური-ვაგონშესაკეთებელი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნები, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა, პლასტმასის ქარხანა, ქარხანა „ელექტროავტომატი“, ლენინის სახელობის შუშის ქარხანა, შამპანური ქარხანა, აბრეშუმსაქსოვი, კოტორნის ფინდების, საქერციკოტაქის, ჩაის საფონი ფაბრიკები; სართავ-სატრიკოტაჟო, კინამიჟული, ავეჯის, ცხიმის, საკონდიტრო, რძის კომბინატები და სხვ.

დღითი-დღე მრავლდება კომუნისტური შრომის გრიგალდებისა და დამკვრელების, ვ. ბაბანოვას მიდევნებრივ რიცხვი, იზრდებიან წარმოების მოწინავეთა — ნოვატორთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიგები, რომლებიც გვიჩვენებენ დიდადნაყოფიერი შრომის ნიმუშებს.

(საკ.).

ᲒᲐᲗᲣᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. 23 ივნისი. (საქდესი). იბრძვიან რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ღირსეული შეხვედრისათვის, ბათუმის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადაზე 9 დღით ადრე შეასრულეს ძირითად სახეობათა ნაწარმის მთლიანი პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ბევრი მოწყობილობა ქვების მრეწველობის საწარმოებისათვის, ავეჯი, ფეხსაცმელი, საშენი მასალები.

შვიდწლეულის მეორე წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში დიდი წარმატებანი მოიპოვეს ქარხანა „ელექტროხელსაწყოს“ მანქანათსაშენებელი, რძის, მომთოვიებელი, ღვინის ქარხნების, ფეხსაცმლის ფაბრიკის, სავაგონო დეპოს, ხისდასამუშავებელი, ციტრუსებისა და თევზის კომბინატების კოლექტივებმა.

Ა. მიქოიანი ნორვეგიაში

ოსლოში საბჭოთა კავშირის სამრეწველო გამოფენის მომიგალ გახსნასთან დაკავშირებთან ნორვეგიის მთავრობამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი მიიწვია ნორვეგიაში.

23 ივნისს დილით მოსკოვიდან „ილ-18“ თვითმფრინავით ოსლოს გაეგზავნა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ა. ი. მიქოიანის მეთაურობით. (საკ.).

ოსლო, 23 ივნისი. (საკ.). დღეს აქ ნორვეგიის მთავრობის მოწვეთით, იმასთან დაკავშირებით, რომ ნორვეგიაში პირველად იხსნება საბჭოთა სამრეწველო გამოფენა, ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი.

საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის ხელმწიფო ალმებით მორთულ ფორნებუს აეროდრომზე საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის შესახვედრად მოვიდნენ ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი, საგარეო საქმეთა მინისტრი ხ. ლანგე, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ოსლოს მცხოვრებნი. სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციას შეხვდა სსრ კავშირის ელჩი ნორვეგიაში მ. გ. გრიბანოვი.

ა. ი. მიქოიანმა ხელი ჩამოართვა პრემიერ-მინისტრ ე. გერჰარდსენს, საგარეო საქმეთა მინისტრს ხ. ლანგესა და სხვებს.

ე. გერჰარდსენმა და ა. ი. მიქოიანმა მოკლე მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში

მოსკოვი, 23 ივნისი. საქდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. დადიანი გადმოგვცემს: როგორც უკვე 22 ივნისს ვიუწყებოდით, რუსთაველის სახელობის თეატრმა წარმოადგინა ა. არბუზოვის პიესა „ირკუტსკის ისტორია“. სპექტაკლს დაესწრო ავტორი.

სპექტაკლის შემდეგ ქართული პრესის წარმომადგენლებმა სთხოვეს ა. არბუზოვს აზრი გამოეთქვა წარმოდგენის შესახებ.

— შესაძლოა მე არ დამეთანხმონ სპექტაკლის დამდგმელები და მონაწილენი, რადგანაც, მიმაჩნია, რომ მასში ბევრი რამ არის სადავო, საინტერესო და ამავე დროს ისეთიც, რაც არ მაკმაყოფილებს მე, როგორც ავტორს, — თქვა მან. — უწინარეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო რეჟისორ მ. თუმანიშვილისა და მხატვარ დ. თავაძის ოსტატობა, რაც ქების ღირსია. თუ შეიძლება ასე ითქვას, რეჟისორს რეალური ფანტაზიის დიდი აღმაფრენა გააჩნია, იგი მშვენივრად აგებს, ახმატებლებს საკუთარ შთანაფიქრს. სპექტაკლის ყველა მიზანსცენასა და ეპიზოდში შეიგრძნობა ორიგინალობა, სცენისა და ცხოვრების ცოდნა. ძუნწი, მომჭირნე. უბრალო და ლაკონიურია მხატვარი, იგი კარგად გრძნობს სცენის სივრცეს და მოხერხებულად იყენებს დეკორაციის დეტალებს, რათა სცენაზე შექმნას მოხერხებული სათამაშო „წერტილები“.

სპექტაკლის მონაწილე მსახიობთაგან უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო სამეული — კ. მანარაძე, გ. გეგეჭკორი, ბ. კობახიძე — მსახიობები, რომელთაც წარმოდგენა მიპყავთ. მე არც ერთ თეატრში არ მინახავს მათზე უკეთესი სამეული. ჩემზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს ბ. ზაქარიაძემ და გ. საღარაძემ, რომლებიც მეტისმეტად ჰგვანან ჩემს გმირებს, საინტერესოა ე. მანჯგალაძე, თავისებურია ს. ყანჩელი.

შეიძლება პრინციპული დავა გამოიწვიოს ზოგიერთი გმირის ხასიათის გააზრებამ, რასაც მე მორიგ შეხვედრამდე გადავდებ. მეტად მოხარული ვიქნები, თუ შემთხვევა მომეცემა ერთხელ კიდევ შევხვდე ისეთ პირველხარისხოვან კოლექტივს, როგორიც რუსთაველის სახელობის თეატრია.

ᲰᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘ ᲒᲠᲐᲚᲡ ᲡᲓᲔᲒᲡ

ნიუ-იორკი, 22 ივნისი. (საკდესი). ნიუ-იორკის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა ავერელ ჰარიმანმა, რომელიც დემოკრატიული პარტიის კომიტეტში წინასაარჩევნო პროგრამის შემუშავების შესახებ გააკეთა განცხადება, რომელშიც გააკრიტიკა ეიზენჰაუერის მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. ჰარიმანმა მოუწოდა შეერთებულ შტატებს თავი აარიდონ „მკაცრ“ პოზიციას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში.

„უკანასკნელ შვიდ წელიწადში, — განაცხადა ჰარიმანმა, — აღინიშნება ჩვენი პრესტიჟის ტრაგიკული დაცემა მთელ მსოფლიოში. ეს გონივრულ ანალიზსა და განხილვას მოითხოვს...

უხეში შეცდომების მთელმა სერიამ, როგორიცაა ის, რომ „ავუშვით ჯაჭვით დაბმული ჩან კაი-ში“ და უხეში მოქმედება „უ-2“ თვითმფრინავის ინციდენტთან დაკავშირებთან, შეამცირა მთელ მსოფლიოში პატივისცემა ჩვენი ხელმძღვანელობის სიბრძნისადმი.

შესაძლოა, ყველაზე არასასიამოვნო იყოს ის, რომ შეიცვალა საზღვარგარეთ არსებული წარმოდგენა ამერიკაზე. ამერიკა ახლა მიაჩნიათ არა ისეთ ქვეყნად, რომელიც თანგრძნობის გაგებასა და მეგობრულ ზრუნვას იჩენს სხვების კეთილდღეობისათვის, არამედ ისეთ ქვეყნად, რომელიც დაინტერესებულია უმთავრესად საშხედრო კავშირებით და რომელიც სხვებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში ზრუნავს, თუ მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენს საუთარ უშიშროებაში.

ამერიკის სახე, როგორც იგი წარმოდგენილი აქვთ საზღვარგარეთ, ასახავს მთავრობის ქცევას აქ, ჩვენი ქვეყნის შიგნით“.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ტოკიო, 23 ივნისი. (საკდესი). ცნობამ იმის შესახებ, რომ კისის მთავრობამ უგულებელყო ხალხის ნება-სურვილი და დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან გაცვალა იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების“ სარატიფიკაციო სიგელები, იაპონელი ხალხის აღშფოთების ახალი ტალღა გამოიწვია. გამოვიდა რა სოციალისტური პარტიის სახელით, პარტიის გენერალურმა მდივანმა ედამ განაცხადა, რომ სოციალისტებს ეს ხელშეკრულება ძალადაკარგულად მიაჩნიათ. ახალი სამხედრო კავშირი, ეწინააღმდეგება იაპონიის კონსტიტუციასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. აღნიშნა რა, რომ კისის მთავრობამ ეს ხელშეკრულება განახორციელა ფაშისტური დიქტატორული მეთოდების გამოყენებით, ედამ განაცხადა. ვფიცავთ ვიბრძოლოთ მანამ, ვიდრე იაპონია-ამერიკის მავნე ხელშეკრულებისა [illegible]

„ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ ᲐᲢᲝᲛᲣᲠ-ᲠᲐᲙᲔᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲐ“

ტოკიო. 22 ივნისი. (საკდესი). იაპონიის პარლამენტის შენობა დაბრემილ კისის რეზიდენცია დღეს ცალკე ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. მთავრობამ აქ თავი მოუყარა ფოლადის „ასკიან“ რამდენიმე ათას პოლიციელს, რომელნიც შეიარაღებული იყვნენ ხელკეტებით და ცრემლსადენგაზიანი ბომბებით, რათა შეეჩერებინა აბობოქრებული ზღვა ხალხის შტეკეა. მუშები, მოსამსახურეები, უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები, სტუდენტები, დიასახლისები ტალღა-ტალღად მდიოდნენ პარლამენტის ახლოს და ცხადყოფდნენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას ბოლო მოუღონ კისის რეჟიმს, „ეარყონ ამერიკა-იაპონიის სამხედრო ხელშეკრულება“, რომელსაც ძალიან ახვევენ თავს იაპონიას. „ჩვენ არ ვცნობთ სამხედრო შეთანხმებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან!“, „იაპონია არ იქნება ატომურ-რაკეტული ბაზა!“, „შეიქმნათ ახალი დემოკრატიული მთავრობა!“ — ასეთია დემონსტრანტების ლოზუნგები.

ყოველ საათში იაპონელ მშრომელთა სულ ახალი და ახალი კოლონები ეახლოვდებიან პარლამენტს. „უშიშროების ხელშეკრულების“ წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული საბჭოს მონაცემებით, დღევანდელ საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობს 120.000 კაცი.

იაპონიაში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოთხოვნა, რომ კისის მთავრობა გადადგეს დაუყოვნებლივ. გაზეთ „ჯაპან ტაიმსის“ მონაცემებით, ქვედა პალატის 467 დეპუტატიდან ოპოზიციური პარტიების 165 დეპუტატი. აგრეთვე მმართველი პარტიის 70 დეპუტატი მოითხოვს კისის მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომას. მას სულ უფრო გადაჭრით მოითხოვს აგრეთვე იაპონიის პრესა.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲦᲤᲝᲗᲔᲑᲐ

ფოტო გადაღებულია ტოკიოში 22 ივნისს. ფოტოტელეგრაფმა ჩვენამდე მოიტანა სურათი იაპონიის მშრომელთა მძლავრი გამოსვლისა კისის მთავრობის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ. იაპონელი მუშები გაფიცული არიან!

ᲨᲔᲣᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲛᲔᲠᲘᲜᲐ ᲛᲘᲥᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲐ ᲛᲘᲥᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲗᲝᲛᲣᲠ-ᲠᲐᲙᲔᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 23 ივნისი. (საქდესი). იაპონიის პარლამენტის შენობა დაბრემილ კისის რეზიდენცია დღეს ცალკე ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. მთავრობამ აქ თავი მოუყარა ფოლადის „ასკიან“ რამდენიმე ათას პოლიციელს, რომელნიც შეიარაღებული იყვნენ ხელკეტებით და ცრემლსადენგაზიანი ბომბებით, რათა შეეჩერებინა აბობოქრებული ზღვა ხალხის შტეკეა. მუშები, მოსამსახურეები, უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები, სტუდენტები, დიასახლისები ტალღა-ტალღად მდიოდნენ პარლამენტის ახლოს და ცხადყოფდნენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას ბოლო მოუღონ კისის რეჟიმს, „ეარყონ ამერიკა-იაპონიის სამხედრო ხელშეკრულება“, რომელსაც ძალიან ახვევენ თავს იაპონიას. „ჩვენ არ ვცნობთ სამხედრო შეთანხმებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან!“, „იაპონია არ იქნება ატომურ-რაკეტული ბაზა!“, „შეიქმნათ ახალი დემოკრატიული მთავრობა!“ — ასეთია დემონსტრანტების ლოზუნგები.

ყოველ საათში იაპონელ მშრომელთა სულ ახალი და ახალი კოლონები ეახლოვდებიან პარლამენტს. „უშიშროების ხელშეკრულების“ წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული საბჭოს მონაცემებით, დღევანდელ საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობს 120.000 კაცი.

იაპონიაში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოთხოვნა, რომ კისის მთავრობა გადადგეს დაუყოვნებლივ. გაზეთ „ჯაპან ტაიმსის“ მონაცემებით, ქვედა პალატის 467 დეპუტატიდან ოპოზიციური პარტიების 165 დეპუტატი. აგრეთვე მმართველი პარტიის 70 დეპუტატი მოითხოვს კისის მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომას. მას სულ უფრო გადაჭრით მოითხოვს აგრეთვე იაპონიის პრესა.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

★

გამარჯვებათა ნათელი გზით

რუსთავი. (საკ. კორ.). ამერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ფურცელსაგალვანი სამაროს მუშებმა და მოსამსახურეებმა, რომლებიც კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდების მოპოვებისთვის იბრძვიან, სასახელოდ გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულებები. წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათასობით ტონა ნაგლინი, დიდი რაოდენობით დაზოგეს ლითონი, მაზუთი, ელექტროენერგია, შვიდწლეულის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 0,5 მილიონი მანეთი.

ეს წარმატებები განაპირობა საწარმოო პროცესების ავტომატიზაციამ და კომპლექსურმა მექანიზაციამ, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებამ, წარმოებაში ახლის, პროგრესულის დანერგვამ.

ფურცელმგლინავებმა, რომლებმაც მოიწონეს რუსთავის ახალგაზრდობის ინიციატივა — იბრძოლონ ქალაქის კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების ქალაქად გადაქცევისათვის, ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. მათ გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ შვიდწლეულის მეორე წლის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვან დიდძალი პროდუქცია; ერთ ტონა პროდუქციის წარმოებაზე გეგმასთან შედარებით დახარჯონ ერთი კილოგრამით ნაკლები ლითონი; ყოველთვიურად 5.000 კილოვატ-საათით შეამცირონ ელექტროენერგიის ხარჯი. 0,5 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

ფურცელმგლინავები არც სწავლაში ჩამორჩებიან. ამჟამად საამქროში 133 კაცს საშუალო და უმაღლესი ტექნიკური განათლება აქვს, 9 მუშა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს, 16 — ტექნიკუმში, ხოლო 22 — მუშაახალგაზრდობის საღამოს სკოლებში. საამქროს უფროსის მოადგილე რ. თანცხაია საკანდიდატო მინიმუმს აბარებს.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საწნეხ-სადარე საამქროს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, ოთხნახევარ თვეში დაზოგა 308.860 მანეთი.

მეტი დანაზოგისათვის შეუპოვარ ბრძოლაში ათობით რაციონალიზატორი, ნოვატორი, ეკონომიის ოსტატი დაწინაურდა. საამქროში არიან ადამიანები, რომელთაგან თვითეულმა წლის დამდეგიდან შვიდწლეულის რესპუბლიკურ ფონდში ათასობით მანეთი შეიტანა.

წინა და უკანა მუხრუჭების სარეგულირებელი მუშტას საყელური ძვირადღირებული ფურცლოვანი ფოლადისაგან მზადდებოდა. ამ დეტალს ახლაც იმავე მარკის ფოლადისაგან ამზადებენ, მაგრამ ლითონის ახალი ფურცლები საწყობიდან როდი გამოაქვთ, დეტალს ფოლადის ნარჩენებისაგან აკეთებენ. სიჩქარეთა კოლოფის მესამე გადაცემის კბილანის საყელურის დამზადებაზეც ნარჩენები გამოიყენეს. ნარჩენებისაგან დამზადებული დეტალები ხარისხით ისეთივეა, მაგრამ ამ გზით 22 ტონაზე მეტი ფოლადი დაიზოგა.

ფურცლოვანი ფოლადის ეკონომიურად ხარჯვით, ნარჩენების გამოყენებით საწნეხი უბნის უფროსმა ოსტატმა ბ. ძვირნაძემ დღემდე 17.104 მანეთი დაზოგა. ლითონების ეკონომიაში ცოტა წვლილი როდი შეაქვთ საამქროს ტექნიკური ნაწილისა და სადისპეტჩერო ბიუროს უფროსებს ო. მხეიძეს და გ. კოსტავას, რომელთაგან პირველს ანგარიშზეა დაზოგილი 10.383 მანეთი, ხოლო მეორისა — 6.721 მანეთი.

საამქროს კოლექტივი მუდამ ახლისა და პროგრესულის ძიებაშია. სატვიფრო უბანზე ტვიფრიდან დეტალების გადმოსაყრელად დღემდე ხელით შრომაა გამოყენებული. ახლა ეს სამუშაო ხორციელდება სპეციალური სამარჯვით — ჰაერის ჭავლის შემბერავით. დეტალების გადმოყრის ავტომატიზაცია საიმედო იქნება ტექნიკური უსაშიშრობის მხრივაც.

Შ. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲠᲐᲯᲠᲔᲜᲓᲠᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რაჯენდრა პრასადი 22 ივნისს განაგრძობდა მოსკოვის ცხოვრების გაცნობას. დილით ინდოელი სალტიო სტუმარი წავიდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. გამოფენის დათვალიერების შემდეგ საპატიო სტუმარი და მისი თანამგზავრები ეწვივნენ ტრეტიაკოვის გალერეას.

ინდოეთის პრეზიდენტთან ერთად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და ტრეტიაკოვის გალერეაში იყვნენ ინდოელი ჟურნალისტები, რომელნიც რ. პრასადს ახლავან საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რაჯენდრა პრასადის პატივსაცემად 22 ივნისს სიუზმე გამართეს მოსკოვში აკრედიტებულმა ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების ელჩებმა.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რ. პრასადმა. შემდეგ ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების სახელით გამოვიდა ბირმის კავშირში ელჩი სსრ კავშირში უ. ჩინი. დასასრულ გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. (საკდესი).

ᲛᲐᲚᲔ გაჩაღდება პურის მასობრივი აღება, რისთვისაც ენერგიულად მოემზადნენ მექანიზატორები. საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ახმეტის რაიონის ზემო ხოდაშნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი სოლომონ რამაზაშვილი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა აგრეგატის ხადღელამისო დატვირთვა გაზარდოს 15-16 ჰექტარამდე, ხოლო თვითეულ ჰექტარზე გალეწოს 13-14 ცენტნერი ხორბალი.

ამ ვალდებულებათა წარმატებით განაღდება აგრეგატის მთელი კოლექტივის, თვითეული მექანიზატორის თავდადებულ შრომას მოითხოვს, რაც კარგად აქვთ შეგნებული რამაზაშვილს და მის მეგობრებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: სოლომონ რამაზაშვილი.

ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲔᲑᲡ!

ᲝᲞᲔᲠᲐᲡ ᲘᲡᲛᲔᲜᲔᲜ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲨᲘ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲨᲘ, ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲨᲘ...

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 23 ივნისი. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივმა, რომელიც აქ საგასტროლოდ იმყოფება, ქუთაისის მაყურებელს უკვე უჩვენა თავისი საუკეთესო დადგმები — ოპერები „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „დარეჯან ცბიერი“, „რიგოლეტო“, „წითელქუდა“, „კარმენი“, „ალი“, ბალეტები „ოტელო“, „გორდა“, „დონ-კიხოტი“, „გედების ტბა“, „ამაო სიფრთხილე“, „ბახჩისარაის შადრევანი“, — სულ 22 სპექტაკლი, მათ შორის 3 დილის სპექტაკლი.

გარდა ამისა, თეატრმა ბევრი პარალელური გასვლითი სპექტაკლი მოაწყო დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, სადაც მაყურებელს უჩვენა ოპერები „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, „რიგოლეტო“, „ქეთო და კოტე“, „ტრავიატა“.

თეატრის საუკეთესო სპექტაკლები ნახეს ჭიათურელმა მაღაროელებმა, ზესტაფონელმა მეტალურგებმა, თერჯოლელმა და მაიაკოვსკელმა მევენახეებმა, სამტრედიელმა რკინიგზელებმა. სამი გასვლითი სპექტაკლი გაიმართა აგრეთვე გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნაგვაზაოს კოლმეურნეებისათვის ამ სოფლის ახალ კულტურის სახლში. 23 ივნისიდან თეატრი სპექტაკლებს გამართავს ზუგდიდსა და სხვ. ქალაქებში.

ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები ქუთაისში 1 ივლისამდე გასტანს. 2 ივლისიდან კი გასტროლები დაიწყება სოხუმში. (საკ. კორ.).

ᲙᲚᲐᲕᲐᲪ ᲒᲕᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲔᲚᲛᲐ მშრომელებმა ნახეს და მოისმინეს სამი ოპერა „ქეთო და კოტე“, „რიგოლეტო“ და „დაისი“. განსაკუთრებით მოგვხიბლა ოპერა „დაისმა“. გამოჩენილ მომღერლებთან ერთად ვუსმენდით რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს ეკატერინე ხიჯაკაძეს და შოთა კიკნაძეს, რომლებიც ზესტაფონში აღიზარდნენ.

კვლავაც გვესტუმრეთ, მეგობრებო, მოგვასმენინეთ თქვენი ვაჟკაცური და ომახიანი სიმღერები.

Მ. ᲤᲔᲠᲐᲫᲔ,
ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. ქუთაისელი მაყურებელი აღტაცებულია თეატრის ყოველი სპექტაკლით. ამიტომაც არის, რომ ყველანი მოწონებითა და სიყვარულით ვხვდებით ქართული ხელოვნების შესანიშნავ ოსტატთა გამოსვლებს.

მადლობას ვუხდით თეატრის მთელ შემოქმედებითს კოლექტივს შთამაგონებელი და მაღალმხატვრული სპექტაკლებისათვის.

ᲛᲘᲚᲘᲪᲐ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ,
ქუთაისის მაიაკოვსკის სახელობის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐ

დეპუტატი და ცხოვრება

სოფლის კეთილმოწყობის ორგანიზატორი

დეპუტატების მოვალეობაზე, მათი მუშაობის გამოცდილებაზე, ჩვენი ქვეყნის მჩქეფარე ცხოვრების მიერ წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში დეპუტატის დიდ როლსა და დანიშნულებაზე მრავალი წერილი და შეკითხვა შემოდის „კომუნისტის“ რედაქციაში. ბევრი ავტორი გაზეთისაგან მოითხოვს, რომ ღრმად, სისტემატურად შუქდებოდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, დეპუტატების დადებითი მუშაობის გამოცდილება; რომ მზის სინათლეზე იქნას გამოტანილი მათი საქმიანობის ნაკლოვანებანი.

რედაქცია იზიარებს ამ კრიტიკას, მათ წინადადებებს და დღეიდან იწყებს წერილების ბეჭდვას საერთო სათაურით „დეპუტატი და ცხოვრება“.

დღეს გამოქვეყნებულ წერილში, რომლის ავტორია გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. შავგულიძე, დაყენებულია სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში საბჭოების როლისა და მონაწილეობის საკითხები. „კომუნისტის“ რედაქცია იზიარებს წერილში გამოთქმულ შენიშვნებს და თხოვს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაკებს, დეპუტატებს, მკითხველებს გამოთქვან თავიანთი აზრი.

უვიდწლედში,—თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა,—გადამწყვეტ ნაბიჯებს გადავდგამთ საოსფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობაში და ამის საფუძველზე უზრუნველვყოფთ სოფლის მოსახლეობის ცხოვრების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების ძირეულ გაუმჯობესებას. ხოლო მომავალში პარტია მიზნად ისახავს საკოლმეურნეო სოფელი გადააქციოს ქალაქის ტიპის კეთილმოწყობილ დასახლებულ პუნქტებად თანამედროვე კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა მიღწევის გამოყენებით.

თანამედროვე სოფლის სამეურნეო და კულტურული აღმავლობა უდიდესი ამოცანების წინაშე აყენებს ადგილობრივ საბჭოებს, მათს დეპუტატებს. იმაზე, თუ რა ღონისძიებებს ატარებენ საბჭოები სოფლად საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად, როგორ რაზმავენ მშრომელებს სოფლის წინაშე დასმულ ახალ ამოცანათა შესასრულებლად, დამოკიდებულია ყველა წარმატება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზე.

გურჯაანის რაიონში მტკიცედ დაინერგა პრაქტიკაში როგორც რაიონული, ისე სასოფლო საბჭოების სესიებისა და აღმასკომის სხდომების რეგულარულად მოწვევა, სადაც სისტემატურად განიხილავენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხებს.

რაიონული საბჭოს აღმასკომი გულდასმით სწავლობს სასოფლო საბჭოების მუშაობას კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის დარგში, ხდის მას მსჯელობის საგნად და ამით პრაქტიკულ დახმარებას უწევს სასოფლო საბჭოებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

რაიონული საბჭოს აღმასკომმა შეისწავლა შაშიანისა და ველისციხის სასოფლო საბჭოების მუშაობა კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების დარგში. შემდეგ ეს საკითხი განხილულ იქნა რაიონული საბჭოს სესიაზე. სესიამ სოფლად კულტურული და სამეურნეო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. რაისაბჭოს სესიის გადაწყვეტილება აქტივის მონაწილეობით განიხილეს ორივე სასოფლო საბჭოს სესიებმა, რამაც ხელი შეუწყო უფრო ფართოდ გაშლილიყო ამ სოფლებში კულტურული მშენებლობა, უფრო მეტი და ნაყოფიერი ყოფილიყო სამეურნეო წარმატებები.

ველისციხე ერთ-ერთი მოწინავე სოფელია რაიონში. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და სასოფლო საბჭოს ენერგიული მუშაობის შედეგად კოლმეურნეობა წარმატებით ასრულებს როგორც სამეურნეო დავალებებს, ისე სახელმწიფო ვალდებულებებს. სოფელი წელს დაამთავრებს 880 ბავშვისათვის განკუთვნილ სკოლა-ინტერნატის მშენებლობას, დიდი ღონისძიებები ტარდება სოფელში ქუჩების კეთილმოსაწყობად, ეზოების გასაფართოებლად, ახალ კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ასაშენებლად.

შარშან ჩვენი რაიონის სოფელ ბაკურციხის მშრომელებმა მეტად კარგი ინიციატივა გამოიჩინეს. მათ გადაწყვიტეს კეთილმოწყობილი, სუფთა, ლამაზი გაეხადათ თავიანთი სოფელი. ამ მიზნით მოაწყეს სოფლის დასუფთავების ორთვიური.

ბაკურციხელთა ინიციატივა განიხილა გურჯაანის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო აქტივმა მშრომელთა ფართო მონაწილეობით და მხარი დაუჭირა ამ სასარგებლო წამოწყებას.

ცხადია, წამოწყება მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მთავარია, როგორ დავაგვირგვინებთ მას. დღემდე ბევრი სამუშაო შესრულდა. ქალაქ გურჯაანსა და არა ერთ სოფელში გასუფთავდა ეზოები, ქუჩებისა და გზების გაყოლებით დაირგო ათასობით მცენარე, შეკეთდა გზები, ხიდები. ამ ღონისძიებას ფართოდ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის სხვა რაიონები, სოფლები.

გურჯაანელთა მიმართვაში მაშინ ვწერდით: „ცხადია, მარტო ორთვიური საქმის წარმატებას არ წყვეტს. მარტო ამით რომ დაკმაყოფილდეთ, ეს იქნებოდა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანისათვის კამპანიური ხასიათი მიგვეცა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორთვიური უნდა გახდეს დასაწყისი, პირველი სერიოზული ნაბიჯი, რაც საჭიროა სოფლების კეთილმოწყობისათვის, სუფთა და ლამაზი კარმიდამოებისათვის“.

დასამალავი არ არის, როგორც ჩვენთან, ისე სხვა რაიონებშიც ორი თვის შემდეგ დაეტყო მუშაობას უფრო დაბალი ტემპი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ საჭიროა ადგილობრივი საბჭოები პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ყველა სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა კარმიდამოების გამშვენიერებას, ბალამაზებას, სოფლებისა და გზების კეთილმოწყობას, სისუფთავის დაცვას. საბჭოთა ადამიანის ყოფაცხოვრების სანიმუშოდ მოწყობას.

რაიონში სერიოზული ღონისძიებები გატარდა სკოლების კეთილმოწყობისა და მათი მატერიალური ბაზის გაფართოების საქმეში. სოფელ ვაზისუბანში შენდება სკოლა-ინტერნატი, სკოლის ახალ შენობას აგებენ სოფელ კალაურში, ხოლო სოფლები ბაკურციხე და კაჭრეთი საგრძნობლად აფართოებენ არსებულ სასკოლო შენობებს, დიდი ყურადღება ეთმობა საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების მშენებლობას. მალე სოფლების ველისციხისა და ვაზისუბნის ბავშვები მიიღებენ მშვენიერ საჩუქარს — ტიპური პროექტის მიხედვით ნაგებ კეთილმოწყობილ საბავშვო ბაღებს.

რაიონულ და სასოფლო საბჭოებთან შექმნილია მუდმივი კომისიები, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საბჭოების წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტაში. რაიონული საბჭოს სესიაზე მოსმენილ იქნა სახალხო განათლებისა და მეშინდვრეობის მუდმივი კომისიების ანგარიში. სესიამ მიუთითა კომისიის მუშაობის არსებულ ნაკლოვანებებზე, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, ქმედითი დახმარება გაუწია კომისიას, და შედეგად მუშაობაც გაუმჯობესდა.

გვაქვს ნაკლოვანებანიც. ზოგიერთი სასოფლო საბჭო ნაკლებად სწვდება კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობას, სუსტად ეხმარება კოლმეურნეობას ჩამორჩენისა და დარღვევების გამოსწორებაში. ჯერ კიდევ ყველა დეპუტატი როდი იღებს აქტიურ მონაწილეობას საბჭოების წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

ა. დგილობრივი საბჭოების მუშაობა, მათი მოღვაწეობა სოფლად სამეურნეო, კულტურული მშენებლობის დარგში უფრო ნაყოფიერი რომ იყოს საჭიროდ მიმაჩნია პრაქტიკაში დაინერგოს ადგილობრივი საბჭოების მუშაკთა მივლინება როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მოძმე რესპუბლიკების მოწინავე საბჭოების მუშაობის გასაცნობად, გამოიცეს პოპულარული ბროშურები მოწინავე ადგილობრივი საბჭოების მუშაობის პრაქტიკიდან.

ამავე დროს საჭიროდ მიმაჩნია ჩვენმა რესპუბლიკურმა პრესამ მეტი ადგილი დაუთმოს ადგილობრივი საბჭოების მუშაობის საკითხებს, მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, აგრეთვე კონსულტაციას საბჭოების მუშაობის სხვადასხვა აქტუალურ თემებზე.

ვ. შავგულიძე.

გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

საპასუხო სვლა ევროპიდან

ელოდება ავსტრია

ამ ცოტა ხნის წინათ ავსტრიელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა თავისი რესპუბლიკის აღორძინების 15 წლისთავი და სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერის ხუთი წლისთავი. ამ ხელშეკრულებამ აღადგინა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრია. იმაში, რომ ავსტრიამ კვლავ მოიპოვა სახელმწიფოებრიობა, დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა კავშირი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ერთა ლიგაში მტკიცე პროტესტი განაცხადა ფაშისტური გერმანიის მიერ ავსტრიის ოკუპაციის წინააღმდეგ. მოსკოვის 1943 წლის დეკლარაციაში, რომელსაც ხელს აწერენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები, ჩაწერილი იყო: „ავსტრია — პირველი ქვეყანა, რომელიც ჰიტლერული აგრესიის მსხვერპლი გახდა—უნდა განთავისუფლდეს გერმანიის ბატონობისაგან“. ამ განცხადების 18 თვის შემდეგ საბჭოთა არმია, რომელიც ავიწროებდა ჰიტლერელთა რჩეულ ნაწილებს, ავსტრიის ფარგლებში შევიდა. ავსტრიელი მოსახლეობა საბჭოთა მეომრებს ხვდებოდა როგორც დიდი ხნის ნანატრ განმათავისუფლებლებს. 13 აპრილს, მედგარი ბრძოლების შემდეგ, განთავისუფლდა ავსტრიის დედაქალაქი — მშვენიერი ვენა. საბჭოთა სარდლობამ დიდი ჰუმანურობა გამოიჩინა და სპეციალური ბრძანება გასცა ფრთხილად მოპყრობოდნენ სახელოვანი ქალაქის ისტორიულ და კულტურულ ფასეულობებს.

განთავისუფლებისთანავე შეიქმნა ავსტრიის დროებითი მთავრობა სოციალისტის კარლ რენერის მეთაურობით. საბჭოთა კავშირმა არ დააყოვნა ეცნო ეს მთავრობა და ყოველგვარი დახმარება გაუწია მას ავსტრიის აღდგენის საქმეში, რომელიც განადგურებული და გაძარცული იყო ჰიტლერელთა მიერ. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები დიდხანს არ ცნობდნენ ავსტრიის დროებით მთავრობას. მათ სურდათ ავსტრია გადაექციათ „ალპების ციხედ“, სამხედრო პლაცდარმად სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ამიტომ დასავლეთი უარყოფდა საბჭოთა კავშირის ყველა წინადადებას ავსტრიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ, რომელსაც შეეძლო უზრუნველეყო მისთვის სრული თავისთავადობა და დამოუკიდებლობა ხელმწიფოდ დაჯგუფებათაგან. თავისი ქვეყნის ბედით შეშფოთებული ავსტრიის ფედერალური მთავრობა დათანხმდა საბჭოთა კავშირთან პირდაპირ მოლაპარაკებაზე და თავისი წარმომადგენლები გამოგზავნა მოსკოვში. მოსკოვის შეთანხმების საფუძველზე 1955 წლის მაისში ვენის ბელვედერის სასახლეში ხელმოწერილ იქნა სახელმწიფო ხელშეკრულება დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ.

ხუთი თვის შემდეგ ავსტრიის პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციური კანონი მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ. ავსტრიის რესპუბლიკამ იკისრა არასოდეს არ მიმხრობოდა სამხედრო კავშირებს და თავის ტერიტორიაზე არ დაუშვა უცხოეთის სამხედრო ბაზების განლაგება.

ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რასაც ავსტრია ახორციელებს, ყველა ხალხის აღიარებას პოულობს. ნეიტრალური ავსტრია არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი და ევროპის ცენტრში მშვიდობის შენარჩუნების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

გაკეთდა რა ამას წინათ მოხსენება ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოებაში, რომელმაც მაისში აღნიშნა თავისი 15 წლის იუბილე, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. კრეისკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის კარგი ურთიერთობა სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განუწყვეტლივ უმჯობესდებოდა. მან გაიხსენა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენელთა მთელი რიგი დელეგაციები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა და ავსტრიამ გაცვალეს უკანასკნელ დროს.

ამჟამად ავსტრიის მთავრობის მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი საპასუხო ვიზიტად ჩავა ავსტრიაში. ცნობას, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი ავსტრიაში ჩავა 30 ივნისს, ავტრიელი ხალხი სიხარულის გრძნობით შეხვდა. ეს არის საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურის პირველი ვიზიტი ავსტრიაში ორი რესპუბლიკის მთელი ისტორიის მანძილზე. ავსტრიის პოლიტიკური წრეებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა კიდევ უფრო განამტკიცებს ორივე სახელმწიფოს მეგობრულ ურთიერთობას.

დღე ისე არ გავა, რომ ავსტრიის გაზეთებში არ დაიბეჭდოს ცნობები ავსტრიის უდიდეს საწარმოთა მუშების წერილების შესახებ, რომლებიც ეგზავნება ნ. ს. ხრუშჩოვს. ამ წერილებში ავსტრიელები სალამსა და კეთილ სურვილებს უთვლიან, გულითადად იწვევენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს ინახულოს მათი ქალაქები.

ვენის საავტომობილო ქარხანა „ფიატის“ მუშები ნ. ს. ხრუშჩოვს სწერენ: „15 წლის განმავლობაში ჩვენ ეკონომიური ურთიერთობა გვაქვს საბჭოთა კავშირთან, რაც მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ჩვენი ამხანაგების წარმოებაში დასაქმებას. დელეგაციების გაცვლით პირდაპირი კონტაქტი დავამყარეთ ლიხაჩოვის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის საქარხნო კომიტეტთან და მუშებთან. ჩვენი ქარხნის ნახვა თქვენი ვიზიტის დროს ავსტრიაში ჩვენთვის დიდი პატივი იქნება და დარწმუნებული ვართ, რომ ეს იქნება ახალი წვლილი ჩვენი ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში. გიხურავთ მშვიდობის გზას და გულითადად გიწვევთ ჩვენთან, ავსტრიაში“.

ასეთივე წერილებით ნ. ს. ხრუშჩოვს მიმართეს ავსტრიაში ნავთობის, მეტალურგიული, ლითონდამამუშავებელი და სხვა დიდი საწარმოების მუშებმა.

ლ. სტეპანოვი.

ვენა.

ბევრმა ახალგაზრდამ გაითქვა სახელი ბეჭითი და მუყაითი შრომით ჩაის პლანტაციებში. აი ზოგიერთი მათგანი — ნელი შელია ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, ლილი ტყებუჩავა — ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათიდან, გულნარა კაიშაური — ქობულეთის რაიონის ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობის მკრეფავი. ისინი ყოველდღიურად ორ-სამმაგად ასრულებენ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ნორმას და მაღალხარისხოვან ნედლეულს აბარებენ სამშობლოს.

სურათზე: ნ. შელია (მარცხნიდან), ლ. ტყებუჩავა და გ. კაიშაური.

ფოტო ს. კილაძის, ი. სეფიაშვილისა და ი. ნანიკაშვილისა.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

გუშინ ჩაის პლანტაციებში

□ ცხაკაიელი მეჩაიეები დღითიდღე აძლიერებენ ჩაის კრეფის ტემპს. გუშინ აქ მოკრიფეს 10 ტონით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, ვიდრე გასული წლის ამავე დღეს. რაიონში სულ მოკრეფილია 1.314 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩაის კრეფის მაის-ივნისის გეგმა 112,1 პროცენტით შეასრულა უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ მოკრეფილია 147 ტონა ჩაის ფოთოლი, შარშან ამ დროს მოკრეფილი იყო 137 ტონა. მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს პირველ ივლისამდე 50 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფონ. ჩაის კრეფის ორი თვის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული „ახალი სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილმა მეჩაიემ თამარ გაბელიამ ერთ დღეს 80 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამის ნაცვლად მას მოკრეფილი აქვს 3.500 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. ამავე კოლმეურნეობის წევრებმა ზინა გაბელიამ და ციალა ადამიამ 55-65 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

ჯემპი, ჯემპი, ამხანაგო მეჩაიეებო!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტატისტიკური სამმართველოს ცნობით ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება ჩვენს რესპუბლიკაში ძირითადად წარმატებით მიმდინარეობს. თუ გეგმით 1960 წლის მაის-ივნისში გათვალისწინებული იყო 64.900 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება, 20 ივნისისათვის დამზადებულ იქნა 66.421 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 48,1 პროცენტს, ხოლო მაის-ივნისის გეგმის 102,3 პროცენტს შეადგენს. 1959 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (მაის-ივნისი) წელს დამზადებულია 850 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მეჩაიეობის ცალკეულმა რაიონებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს ამ საქმეში. **გუდაუთის** რაიონმა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა შეასრულა 131,4 პროცენტით, **სოხუმის** რაიონმა — 117,8 პროცენტით, **ბახჩისარაის** რაიონმა —113,2 პროცენტით, ქობულეთის რაიონმა—111,3 პროცენტით. მოწინავე რაიონების მეჩაიეებმა, იკისრეს რა გადიდებული ვალდებულებები, წელს თავიდანვე პასუხისმგებლობით მრჯიდეს ხელი ჩაის ფოთლის კრეფას. განვლილ პერიოდში მათი შრომის შედეგი იმაზე მეტყველებს, რომ შვიდწლედის მეორე წელს ისინი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმას გადაჭარბებით შეასრულებენ. ხოლო ყოველივე ეს აღელვებული პირობაა იმისათვის, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ, ნაცვლად 138 ათასი ტონისა, წელს დედა-სამშობლოს მისცეს 145 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ფიზიდადად ასეთი წარმატებებისა, უკანასკნელი ცნობები იმაზეც მიგვითითებს, რომ რესპუბლიკის მეჩაიეობის ყველა რაიონში როდია საქმე კარგად, ზოგიერთი რაიონი ამ მხრივ საგრძნობლად ჩამორჩება და ამით უკან სწევს მეჩაიეთა საერთო შრომითს წარმატებებს.

მაგალითად, **აბაშის** რაიონს 20 ივნისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა 74,5 პროცენტით აქვს შესრულებული, რაც წლიური გეგმის 35,1 პროცენტს შეადგენს. **წალენჯიხის** რაიონს — 83,4 პროცენტით, ე. ი. წლიური გეგმა გადადებულია 39,2 პროცენტით, **გეგეჭკორის** რაიონს —86,4 პროცენტით, წლიური გეგმის შესრულება უდრის 39,8 პროცენტს, ისევ დიდ რაიონს როგორც **ზუგდიდის** რაიონია — 88,0 პროცენტით, წლიური გეგმა შესრულებულია 41,4 პროცენტით და ა. შ.

ნელი ტემპით კრეფენ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს აგრეთვე **ჩხოროწყუს, ცხაკაიას, წულუკიძის, სამტრედიის** რაიონები.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის საოპერაციო პერიოდი თანდათან იწურება, ჩაის ბუჩქის **ნორმალური** გეგეტაცია, რაზეც დიდად არის დამოკიდებული პირველხარისხოვანი ნედლეულის მიღება. შეა ზაფხულის შემდეგ ისევე ინტენსიური რიდია, როგორც ეს გაზაფხულისა და ზაფხულის პირველ თვეებში ხდება. გამოცდილმა მეჩაიეებმა იციან ეს. ამიტომაც ჩქარობენ. მთელი დატვირთვით მუშაობენ, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ძვირფასი ფოთელი, მეტი პირველხარისხოვანი მწვანე ფოთოლი ჩაის ბუჩქზე და ამით უზრუნველყონ გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

ახლოდან თვალთვალი მოვალეობისადმი პატრიოტული დამოკიდებულება, დაუდალავი შრომა, მონდომება და ინიციატივა შექმნის იმის პირობას, რომ ჩვენმა მეჩაიეებმა თავი დაადწიონ ჩამორჩენას, გარკვეული წვლილი შეიტანონ იმ აღებული ვალდებულების შესრულებაში, რომ შვიდწლედის მეორე წელს მისცემენ ქვეყანას 145 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

ლენინური პრემიების კომიტეტში

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტმა დაიწყო 1961 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად ნაშრომთა მიღება.

ნაშრომთა მიღება იწყრომოებს 1960 წლის 15 ნოემბრამდე.

ყველა წარმოდგენილი მასალა, რომელიც კომიტეტში ამ ვადის შემდეგ შემოვა, განხილულ იქნება შემდეგ სესიაში იმ ნაშრომებთან ერთად, რომლებიც წარმოდგენილ იქნება 1962 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად.

ლენინური პრემიების მოსაპოვებელ ნაშრომთა წარმოდგენა, აგრეთვე ყველა საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია მასალების გაფორმებასთან, უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქალაქი მოსკოვი, ი-51, ნეგლინის ქუჩა, 29/14, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი.

წერილი მესტიიდან

თეორიული კონფერენცია. ლექციების ციკლი

„სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის კანონზომიერებანი“ — ასეთი იყო თემა თეორიული კონფერენციისა, რომელიც ამას წინათ მოაწყო საქართველოს კპ მესტიის რაიკომმა.

ამხანაგებმა კ. გვიჩიანმა, ჯ. ფილფანმა, ა. მარგიანმა წაიკითხეს მოხსენებები ქვეთემებზე: „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კომუნიზმის ორი ფაზის შესახებ“, „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური საწარმოო ბაზა“, „სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის დაახლოების გზები“. კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. ფირცხელანმა, ე. ფილფანმა, მ. კვანჭიანმა შ. გვარლიანმა, მ. უშხვანმა, ო. ნაკანმა, მ. გაბიანმა და სხვებმა.

თეორიულ კონფერენციას დაესწრო 200 კაცი — მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგები, პოლიტწრეების მსმენელები, რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიული და საბჭოთა აქტივი.

კონფერენციის შემდგომ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ძალებით რაიონის მაღალმთიან სოფლებში მოეწყო ლექციების ციკლი თემებზე: „მითი სახალხო კაპიტალიზმის შესახებ“, „მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკა“, „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“ და სხვ. ლექციები წაიკითხეს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატებმა ვ. რატიანმა, გ. მარგიანმა და ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. თოდუამ.

ბ. ქალდანი,
მ. რატიანი.

დილით, პლანტაციებიდან...

ფოტოეტიუდი
ს. კილაძისა.

საკოლმეურნეო ბაზრობა

ბაბილონის გოდოლივით...

ბახსოვთ ალბათ ძველი ბიბლიის მიხედვით — როგორ აუფია განრისხებულმა ღმერთმა ენა ბაბილონში გოდოლის მშენებლებს, და როგორ ჩაიფუშა ღმერთთან ასასვლელი ამ გოდოლის აგება.

ქვემოთ ლაპარაკი გვექნება არა ღმერთთან ასასვლელი გოდოლის, არამედ, უბრალოდ, სკოლა-ინტერნატის მშენებლობაზე. როგორღაც აქაც აერიათ მშენებლებს ენა.

საბჭოეთისა და როკის ქუჩის კუთხეში, იქ, სადაც კინოთეატრის ახალი შენობის კედლები თანდათან მაღლა მიიწევს, სკოლა-ინტერნატის მშენებლობასთან გამოუყვიათ მოზრდილი ფართობი.

— თქვენ აქ მუშაობთ?—შეეკითხეთ ავტომანქანასთან მდგომ ახალგაზრდას, რომელიც ჩაფიქრებული გაყურებდა ახლადმოყვანილ კედლებს.

— ავტოსატრანსპორტო კანტორაში ვმუშაობ მძღოლად, ამ მშენებლობაზეც ბევრჯერ მომიტანია ქვა, ქვიშა, ხე-ტყეა, და უნდა გითხრათ, რომ არაერთხელ მომსვლია გული მშენებელთა უხეირო მუშაობით. ძნელია, პირში წყალი ჩაიგებო რაცა უპასუხისმგებლო ადამიანებს უყურებ!

— რა გვარი ბრძანდებით?

— დოიჯაშვილი, სახელად ვალიკო, მაგრამ ხახჯალს მეძახიან.

ხახჯალა კვლავ მიბრუნდა, სამშენებლო ობიექტებს გააყოლა თვალი და თქვა:

— როგორ დღეს აქაურობა! ჩაქუჩის კაკუნიც კი არ ისმის. ამბობენ, სექტემბერში უნდა გადასცენ საექსპლოატაციოდ. ჰმ! ნეტავი რომელი წლის სექტემბერზეა ლაპარაკი! აბა როგორ არ იტყვი: დღეს ზღუდრის დაღმართზე ჩამოვიარე და მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებლები ა. თედეევი და ბ. მჭედლიძე ნაძვების ჩრდილში წამოწოლილი ვნახე. „ვოლგაც“ იქვე იდგა. შუადღით მშვანეზე ნებივრობენ, მშენებლობები კი...

თქვა ეს ხახჯალამ და იქვე მესერთან ჩამოჯდა. ჩვენ კი მშენებლობა შევათვალიერეთ. დღის 4 საათია. ყარაულიც კი არსად ჩანს. გაჩერება უაზრო იყო. სამხრეთ ოსეთის სამშენებლო კანტორას მივაშურეთ. გვინდოდა შეგვეტყო, თუ რას იტყოდნენ ამ საკმაოდ დიდ სამმართველოში სკოლა-ინტერნატის გაჭიანურებული მშენებლობის შესახებ.

კანტორის წინ მრავალი სპეციალობის მუშა ვნახეთ. ისინი ინსტრუმენტებით ხელში სამუშაოზე განაწილებას ელოდნენ. ბევრი მათგანი უარით გამოისტუმრეს — მასალების უქონლობის გამო სამუშაო არა გვაქვსო. ზოგი კი ინჟინრების პასუხს კვლავ ელოდა.

—მართლა ასეთი გაჭირვებაა საშენ მასალებზე? — შევეკითხეთ სამმართველოს უფროსს ს. კოზაევს.

მან წუწუნი დაიწყო: გვაკლია ხე-ტყე, აგური, კირი, არმატურის რკინა. ზოგიერთმა იქ დამსწრემ უფროსის ეს სიტყვები დაადასტურა. მაგრამ ვეკვეობდით, ვიფიქრეთ: ზოგიერთი რამ შეიძლება აკლიათ, მაგრამ აგური, კირი!... ქალაქში აგურის ორი ქარხანა მუშაობს, ოლქში კირის ქარხნებიც არის, და აი სწორედ ამ ეჭვმა მიგვიყვანა საოლქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიაში, ხოლო შემდეგ საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. გაზაევთან.

იქ გვაცნობეს: სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკებს, პირველ რიგში მას უფროსს ს. კოზაევს სურს, რომ ყველა საშენი მასალა მშენებლობაზე ავტომატურად მისდიოდეს, ავტომატურად იცლებოდეს და ავტომატურადვე ადიოდეს ხარაჩოებზე. ლაპარაკია არა მექანიზაციის დანერგვაზე მშენებლობაში, არამედ იმ უზრუნველობაზე, რომელსაც ამ სამმართველოს მუშაკები ინენენ საშენი მასალების გადმოზიდვისა და შემოტანის საქმეში.

გვითხრეს—ყველაზე დიდი დეფიციტი სკოლა-ინტერნატის მშენებლობაზე ხე-ტყე არისო. დახერხილი მასალის უქონლობის გამო ხარაჩოებიც კი ვერ მოუწყვიათ, რომ შელესვის სამუშაოები შესრულონ. მაგრამ არის თუ არა ხე-ტყის შემოტანის შესაძლებლობა? რა თქმა უნდა, არის. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გორის № 3 სამშენებლო ტრესტს დიდძალი ხე-ტყე აქვს. გორელები სიამოვნებით უწევდიან დახმარების ხელს სამხრეთ ოსეთის სამმართველოს, მაგრამ თურმე ს. კოზაევს გორიდან ხე-ტყე არ მიაქვს — ძვირი მიჯდებაო. საინტერესოა, რომელი უფრო ძვირი ჯდება — მილიონიან მშენებლობათა ორი თვით შეჩერება, თუ 50-100 კუბური მეტრი ხე-ტყის გადატანა გორიდან სტალინირამდე!

ოლქს აგური და კირი იმდენი სქვს, რომ სამშენებლო სამუშაოების მოთხოვნილება მთლიანად შეუძლია დააკმაყოფილოს. კირის ძარაგი ბევრია ლენინგორში. მას საკმაო რაოდენობით უშვებს ჯავის კირის ქარხანაც. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ჯავის კირის ქარხანა ხშირ შემთხვევაში ინდივიდუალურ მშენებლობებზე ჰყიდის თავის პროდუქციას იმ მოტივით რომ მათზე გადასახადი ფასი მაღალია. მაგრამ საერთო საქმის ინტერესები? რატომ ვივიწყებთ მას?

ამას წინათ მოხდა ასეთი ამბავი: გორელი მემონტაჟეების მიერ წინასწარ შეთანხმების საფუძველზე სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე დემონტირებულ იქნა მძლავრი ამწე, რათა იგი სკოლა-ინტერნატის მშენებლობაზე გადაეტანათ. ჯერ-ერთი, დემონტირების დროს უყურადღებობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად ნაწილები დაიმტვრა, მეორეც, ამწე ადგილზე მიიტანეს და აღარ დაუმონტაჟებიათ. მძლავრი მ

ტრიო — კისი, მენდრერესი, ლი-სინ-მანი — ადენაუერს: „ცოტაც მოიცადე, მალე შენი რიგიც მოვა“.

ნახატი გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდიდან“.

ამერიკის სამხედრო გაზეთი—შხამიანი ოგოგას შავი ქსელი
*** იაპონელი ხალხის რისხვა წალეკავს კისის—ამერიკის ლაქიას * დასავლეთს ჩაშლის გზით მიჰყავს თათბირი ჟენევაში**
***ადენაუერი ემზადება მოსალოდნელი „უსიამოვნებისათვის“**

იაპონელი ხალხის ნების წინააღმდეგ

ამერიკის სენატმა დაამტკიცა ამერიკა-იაპონიის „უშიშროების ხელშეკრულება“

ვაშინგტონი, 22 ივნისი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი **გ. შიშკინი** იუწყება: „აზიიდან მოდის ხმები, რომლებიც ჰგავს ვულკანის გრგვინვას, რომლის ამოფრქვევა სადაცაა უნდა დაიწყოს“. — ასე ახასიათებს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდის“ მიმომხილველი მარკის შაილდის საპროტესტო მოძრაობას იაპონიაში სამხედრო კავშირის შესახებ იაპონია-ამერიკის ხელშეკრულების წინააღმდეგ. უგულებელყოფენ რა ამ მრისხანე გაფრთხილებას, შეერთებული შტატები მმართველი წრეები ცდილობენ გადააქციონ იაპონია იმ აგრესიული ავანტიურების ბლაცდარმად, რომლებსაც ისინი შორეულ აღმოსავლეთში ამზადებენ. სახელმწიფო დეპარტამენტის პირდაპირი მითითებით ამერიკის სენატი გუშინ შეიდგა ყბადაღებული „უშიშროების ხელშეკრულების“ დაჩქარებულ რატიფიკაციას. ამ ხელშეკრულების განხილვის მსვლელობამ კვლავ დაადასტურა მისი უაღრესად აგრესიული ხასიათი, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის შენარჩუნების საქმეს.

შეიტანა რა ხელშეკრულება სენატის განსახილველად, სენატის სგგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ფულბრაიტმა აღნიშნა, რომ „იაპონეთი ხელშეკრულების წინააღმდეგ იაპონიაში დიდი შეშფოთების წყაროა შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში. მოუწოდა რა, მოუხდავად ამისა, ხმა მიეცათ მისი რატიფიკაციისათვის, ფულბრაიტმა დაიმოწმა ის, რომ თითქოს ეს ხელშეკრულება ემსახურება ომისაგან არაკომუნისტური ქვეყნების დაცვისა და „საგარეო ბატონობის“ დამყარების მიზნებს.

მაგრამ, უპასუხა რა სენატორთა მრავალ კითხვაზე, ფულბრაიტმა აღიარა, რომ ამერიკის ჯარები, რომლებიც განლაგებული არიან იაპონიის ტერიტორიაზე, თუ კონფლიქტი წარმოიშვა, შეიძლება ხელშეკრულების მიხედვით, გამოყენებულ იქნას იაპონიისა. ფარგლებს გარეთ, ესე იგი, ყოველ ერმა, როცა ამერიკის სამხედრო წრეებს მოეპრიანებათ გააჩაღონ აგრესია დედამიწის ამა თუ იმ წერტილში. ფულბრაიტმა სცადა დაეფარა ხელშეკრულების „აბალური ხასიათი, რომელიც შეიცავს იაპონიისათვის საშინელ საფრთხეს, იმის დამოწმებით, რომ თუ იაპონიაში მყოფი ამერიკის ჯარები გამოყენებულ იქნა იაპონიის ფარგლებს გარეთ, საჭიროა კონსულტაცია იაპონიის მთავრობასთან. თუ რა ფასი აქვს ამ „შენიშვნას“, ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ სენატორმა ბაშმა აშკარად განაცხადა: ის გარემოება, რომ საჭიროა კონსულტაცია მოეწყოს, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საჭიროა იაპონიის მთავრობის თანხმობის მოღება.

ხელშეკრულების გამო კამამის მსვლელობაში ზოგიერთმა სენატორმა სერიოზული შიში გამოთქვა, რომ ხელშეკრულების რატიფიკაცია გაამწვავებს მდგომარეობას შორეულ აღმოსავლეთში. სენატორმა რასელმა აღნიშნა, რომ, როგორც ტოკიოდან მიღებული ცნობები მოწმობენ, ხელშეკრულება იაპონიაში ანტიამერიკული დემონსტრაციების მთავარი მიზეზია. სენატორმა მორზემ განაცხადა, რომ მისი აზრით, „უშიშროების ხელშეკრულება“ გამოყენებულ იქნება „შეკავების მოძველებული პოლიტიკისათვის“, ესე იგი საბჭოთა კავშირის მიმართ ძალის აგრესიული პოლიტიკისათვის, რომელიც ერთ დროს დალესმა გამოაცხადა და რომელიც გაკოტრდა. „თავისი საფუძვლით“ — ხაზი გაუსვა მან, „ეს სამხედრო ხელშეკრულებაა და თუ ჩვენ (ესე იგი შეერთებულმა შტატებმა) ზედიზედ დავდეთ სამხედრო ხელშეკრულება დაღუპვა მოგველის, რომლისგანაც ხსნა არ არსებობს“.

თვით შეერთებულ შტატებში მწყდება უკმაყოფილება სამხედრო ხელშეკრულების გამო.

400 მოვიელმა, რომელნიც ასახავენ უბრალო ამერიკელთა განწყობილებას, გადაჭრით დაგმო ეს ხელშეკრულება და მოითხოვა ამერიკის ჯარების გაყვანა იაპონიიდან.

ვაშინგტონი, 22 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი **გ. შიშკინი** გადმოგვცემს:

დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა ხმის უმრავლესობით დაამტკიცა ამერიკა-იაპონიის „უშიშროების ხელშეკრულება“.

კამათის მსვლელობაში ხელშეკრულების განხილვის დროს გამოთქმული იყო ბევრი შიში და კრიტიკული შენიშვნა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ახლანდელი კურსის გამო.

ჟენევა, 22 ივნისი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა ი. ნოსეკმა გახსნა 10 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მორიგი სხდომა. მაგრამ კომიტეტის სხდომა ფაქტიურად არ გაჩართულა იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები არ აღმოჩნდნენ „მომზადებულნი“ საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხისა და ამ საკითხზე შეტანილ საბჭოთა კავშირის წინადადებათა განხილვისათვის.

შექმნილი მდგომარეობის გამო სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებმა პრესისათვის გადასცეს შემდეგი ცნობა: „10 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის უკანასკნელი სხდომა, და განსაკუთრებით კომიტეტის 22 ივნისის სხდომა, რომელიც ფაქტიურად არ გამართულა იმის გამო, რომ დასავლეთის დელეგაციებს არ ხურდათ ელაპარაკნათ შეტანილ წინადადებათა შესახებ, ცხადყოფენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი კვლავ არიდებენ თავს საქმიან მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ.

მაშინ, როცა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებმა დაწვრილებით განმარტეს საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებათა არსი საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითად დებულებათა შესახებ და პასუხი გასცეს დასავლეთის წარმომადგენელთა მთელ რიგ კითხვებზე, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა დელეგაციები უარს ამბობენ იმაზე, რომ არსებითად განხილონ ეს წინადადებანი, არ შეაქვთ რაიმე თავიანთი წინადადება და არ უპასუხებენ სოციალისტურ სახელმწიფოთა დელეგაციის კანონიერ კითხვებზე იმის შესახებ, თუ როგორია დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია საყოველთაო და სრული განიარაღების უმნიშვნელოვანესი საკითხების თაობაზე.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მოკავშირენი დაინტერესებული არიან არა იმით, რომ მიღწეულ იქნას პროგრესი განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაში, არამედ იმით, რომ მოლაპარაკება გადააქციონ ერთი ადგილის დაუსრულებელ ტკეპნად ან საერთოდ მოლაპარაკების ჩაშლამდე მიიყვანონ საქმე“.

დასავლეთი კვლავ ერთ ადგილს ტკეპნის

საყოველთაო გაფიცვა იაპონიაში

ტოკიო, 22 ივნისი. (საკდესი). იაპონელი ხალხი დღეს ახალ საყოველთაო გაფიცვას აწყობს კისის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. 6 მილიონზე მეტი მშრომელი მონაწილეობდა დღეს საყოველთაო გაფიცვაში. გაფიცვა დაიწყეს რკინიგზელებმა — იაპონიის მუშათა კლასის მებრძოლმა რაზმმა. ადრე დილადან რკინიგზის ყველა საგზაურში პოკაიდოდან კიუსიუშედე შეჩერდა სატვირთო და სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა. ათასზე მეტი რკინიგზის შედგენილობამ მოიყარა თავი იაპონიის სადგურებში. 1.200 ათასი მგზავრი დროზე ვერ წავიდა ან შეჩერება გზაში. როგორც კიოდო ცუსინის საინფორმაციო იუწყება, ბევრმა მგზავრმა შეუერთა თავისი ხმა მებრძოლ რკინიგზელთა პროტესტს.

ტოკიოს 50 ვაგზალში რკინიგზელებთან ერთად პიკეტებში მონაწილეობდნენ სტუდენტები, მაღაზიის პატრონები. გაფიცვა მოსახლეობის სრული მხარდაჭერით მიმდინარეობს.

გაფიცვასთან ერთად რკინიგზებზე 24 საათით შეწყვეტილ დღეს მუშაობა მეშახტეებმა, ქიმიკოსებმა, მეტალურგებმა, მანქანათმშენებლებმა და მრეწველობის სხვა დარგების მუშებმა, რომელნიც შედიან იაპონიის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოსა და სხვა პროფკავშირულ გაერთიანებებში.

შეაჯამა რა გაფიცვის წინასწარი შედეგები, იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს გენერალურმა მდივანმა იკეიმ აღნიშნა გაფიცვის ორგანიზებული ხასიათი და განაცხადა პოლიტიკური ბრძოლის ასეთი დიდი გამწვავება მოწმობს იაპონელი ხალხის საყოველთაო გულისწყრომას და იმას, რომ იგი აღფოთებულია მთავრობის პოლიტიკის გამო. დე კისის თუნდაც ცალმხრივი წესით გაიუვანოს სამხედრო ხელშეკრულება, განაცხადა იკეიმ, იაპონელი ხალხის ბრძოლა ამ ხელშეკრულებას ფარატინა ქაღალდად გადაქცევს.

კისის მთავრობა გადადგება

ტოკიო, 23 ივნისი. (საკდესი). დღეს პრემიერ-მინისტრმა კისამ მოიწვია მინისტრთა კაბინეტის სასწრაფო სხდომა. კაბინეტის სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ რამდენადაც იაპონია-ამერიკის ახალი ხელშეკრულება ძალაში შევიდა, პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციის ინტერესებისათვის მინისტრთა კაბინეტი უახლოეს ხანში გადადგება.

ფაშისტების გამოხდომა იაპონიაში

ტოკიო, 22 ივნისი. (საკდესი). როგორც იაპონიის რადიო იუწყება, წუხელ 4 საათზე უკიდურესად რეაქციული ორგანიზაციის „აიკოკუტოს“ („იაპონიის პატრიოტული პარტია“) წევრები თავს დაესხნენ სოციალისტური პარტიის მთავარ ბინას ტოკიოში და ქვით ჩაამტვრიეს ფანჯრების მინები. იუწყებიან, რომ ფაშისტთა ეს თავდასხმა იმიტომ მოეხდენით, რომ სოციალისტური პარტია პრეტესტს აცხადებს „უშიშროების ხელშეკრულების“ წინააღმდეგ.

ალენ დალესის შეშფოთება

ლონდონი, 22 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „სკოტსმენი“ იუწყება, რომ ამერიკის დაზვერვის ხელმძღვანელმა ალენ დალესმა ამას წინათ ლონდონში ვიზიტად ყოფნის დროს ინგლისის ოფიციალურ პირებთან განიხილა ირანში სამხედრო გადატრიალების საფრთხის საკითხი.

ინგლისისა და ამერიკის მთავრობები, წერს გაზეთი, შეშფოთებულნი არიან იმით, რომ ირანში ასეთი გადატრიალება შეიძლება მოხდეს არმიის ახალგაზრდა ოფიცერთა ხელმძღვანელობით.

ამერიკის მზერა ოფიციალურ ეგვიპტეზე

ამერიკელ ოფიცრებს ეკრძალებათ ეგვიპტეში ჩასვლა

ბონი, 22 ივნისი. (საკდესი). ბონის ოფიციალურ წრეებში ცნობილია, რომ ამერიკის მთავრობა ეგვიპტეში ჩასვლის ნებას ამერიკელ ოფიცრებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, ექიმებს, ექთნებს, ბაზრებს, ბანკირ

მართალი, ამაღელვებელი ხელოვნება

მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის თეატრის გასტროლები

□

როდესაც დარბაზსა და რამპას შუა აღმართული ხელოვნური ზღუდე თითქოს ქრება, მაყურებელსა და სცენაზე მოქმედ პირთა შორის კონტაქტი მყარდება და ყველა ერთი აზრით იმსჭვალება — აქ ნამდვილი თეატრია. როცა გმირის წუხილი შენი კეთილი ხდება და მისი სიხარული ბედნიერებას განიჭებს, მსახიობები კი არ „თამაშობენ", არამედ გმირების სრულ გარდასახვას ახდენენ — უკვე ნამდვილი ხელოვნებაა...

მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის თეატრის სპექტაკლმა „მაშენკამ" გაგვახსენა ჭაბუკობისას მოსკოვის სამხატვრო თეატრში განცდილი წუთები.

რასაკვირველია, ჩვენი სტუმრები თავიანთი დიაპაზონით ვერ გაუტოლდებიან სამხატვრო თეატრის ბუმბერაზებს, მაგრამ იმით გზას რომ განაგრძობენ და ღირსეული მოწაფეები არიან, ეს უდავოა.

მაგრამ თეატრს მსახიობთა ოსტატობა ვერაფერს უშველის, თუ სრულფასოვან დრამატურგიულ მასალასთან არ ექნება საქმე. ამ მხრივ უდროოდ დაღუპული ნიჭიერი დრამატურგის ა. აფინოგენოვის „მაშენკა" ერთ-ერთი სანიმუშო ქმნილებაა.

„მაშენკა" სოციალიზმის პათოსით გამსჭვალული ლირიკული პიესაა. გამოჩენილი მეცნიერი პროფესორი ვასილ ოკაემოვი ძველ ხელნაწერებს ჩაპირკვეტებს, იგი მოწყვეტილია ცხოვრებას და არც იცის რა ხდება თავის გარშემო. მოულოდნელად მის ცხოვრებაში ახალი სიო შემოიჭრება შვილიშვილი მაშენკას სახით... მოხუცი თითქოს ხელახლად დაიბადა, ახალ ცხოვრებას ამოუდგა მხარში.

პიესის დამდგმელი პ. რეზნიკოვი სათუთად მოჭიდებია ავტორის ტექსტს. რეჟისორის ენა, მისი გეგმა და მიზანდასახულობა მიზანსცენებში ვლინდება და ამ მხრივ „მაშენკაში" გამართლებული და ლამაზი მიზანსცენები გვხიბლავენ. ყოველივეს ეტყობა რეჟისორის ფაქიზი გემოვნება და მტკიცე ხელი.

პიესა სადად და გემოვნებით არის გაფორმებული მხატვარი ლ. სილიჩის მიერ. უნდა აღვნიშნოთ, რომ მხატვარი ზუსტად მიჰყვება ავტორის ჩანაფიქრს, პიესის შინაარსიდან გამომდინარეობს და არ ცდილობს სცენა თავისი შემოქმედების გამოფენად გამოიყენოს.

სპექტაკლის წარმატებას აქტიორი წყვეტს. ნიჭიერ რეჟისორს, კარგ პიესას შესაფერისი ხორცშემასხმელნი თუ არ ეყოლა, ისე წარმატება წარმოუდგენელია.

ანსამბლი მტკიცეა და დუღაბივით შეკრული. ვერც ერთ პერსონაჟზე ვერ იტყვი, რომ ის ანსამბლს ეთიშება, მაგრამ არ შეიძლება არ გამოვყოთ ზოგიერთი და უწინარეს ყოვლისა ვასილ ოკაემოვის როლის შემსრულებელი რსფსრ დამსახურებული არტისტი ნ. მიხაილოვი.

მსახიობმა ნ. მიხაილოვმა ოკაემოვის ისეთი შთამბეჭდავი სახე შექმნა, რომ დიდხანს ადამიანის მეხსიერებიდან არ ამოიშლება იგი. მსახიობის თვითეული სიტყვა, ჟესტი გხიბლავთ თავისი ბუნებრივობით.

სწორედ ეს ბუნებრივობა შეელოს მსახიობ ო. ბგანს ტოლის შესრულებისას. უყურებთ მსახიობს და ფიქრობთ, მაში სწორედ ასეთი უნდა იყოს, სხვაგვარი ვერ წარმოგვიდგენია. მაშას როლი მსახიობის არტისტულ ბიოგრაფიაში საპატიო ადგილს დაიჭერს.

ლეონიდის როლი დრამატურგ ა. აფინოგენოვს ცოტა მუქი საღებავებით აქვს დახატული, მის ირგვლივ შექმნილი ზოგიერთი სიტუაცია დაუჯერებლად მიგაჩნიათ. მიუხედავად ამისა, მსახიობ ს. ლიახნიცკის ისეთი კოლორიტული სახე შეუქმნია, რომ გავიწყდებათ დრამატურგიული ხარვეზები. ეგვე ითქმის ვიქტორის როლის შემსრულებელ მსახიობ ლ. სატანოვსკიზე.

დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს უკრაინის სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ტ. სემიჩოვამ (ნინო), რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა ტ. გურკომ (ვერა), მ. კრავჩუნოვსკაიამ (მოტია) და ბ. ბელოუსოვმა (ტუმანსკი).

ის ერთსულოვანი ტაში, რომელიც ხანგრძლივად გაისმოდა სპექტაკლის დამთავრებისას დარბაზში, მარტო სტუმართმოყვარეობით როდი აიხსნებოდა. ეს ტაში ეკუთვნოდა მთელ კოლექტივს იმ ესთეტიკური სიამოვნებისათვის, რაც ამ კარგი სპექტაკლით განიცადა დამსწრე საზოგადოებამ.

ა. ბურთიკაშვილი.

ზღვა, ჩვენი მშობლიური შავი ზღვა უყვართ ამ ადამიანებს და როგორც კ... ზაფხული დადგა, გაგრას მოაშურეს. არც ისე ცხელა ახლა, მაგრამ მაინც რ... სჯობს კარგ ამინდში სანაპიროზე გაფიცხებას. სამხრეთის მზე მაინც არ აკლებ... თავის მცხუნვარებას და ბრინჯაოსფრად რუჯავს ზღვის ლივლივა წყალში გაგრილებულებს გაგრაში.

პატარა გოგონებს, ახლა წრეში რომ ვხედავთ, ხურათებით ჭქონდათ ნახული ზღვა, როცა თვალით იხილეს, პირველად თითქოს შეშინდნენ, მაგრამ მალე ... მიეჩვივნენ ჭყუმპალაობას, რომ მთელი დღე არ მოსწყინდებათ ფირუზისფერ წყალში ყოფნა.

„პოგედა" მოაქროლებდა პენსიონერ ვიქტორ სერპენსკის ოჯახის წევრებს შორეული ალმოსავლეთიდან. ისინი სახალინზე ცხოვრობენ. მათ არ აკლიათ ზღვა, ტბები და წყალუხვი მდინარეები, მაგრამ საქართველოს ნახვა უნდოდათ და მანქანით გამოეშურნენ ბიჭვინთას. წარმტაც სანაპიროზე დასასვენებლად... რა დაავიწყებს შავი ზღვის პირას გატარებულ დღეებს ჭალარა ვიქტორს, მის მეუღლეს მარიამს, ქალიშვილს ლარისას და პატარა შვილიშვილს სტანისლავს.

გადმოლახეს თათრის სრუტე, გამოიარეს ამურის კომსომოლსკი, ჩიტა, ომსკი, მაგნიტოგორსკი, კუიბიშევი, სტალინგრადი, სოჭი და ასობით სხვა ქალაქი, რომ ათასობით კილომეტრი მანძილის გავლის შემდეგ საქართველოს სილამაზით დამტკბარიყვნენ შორეული ალმოსავლეთის შვილები.

* * *

სურათზე: (მარცხნივ) გაგრის სანაპიროზე; მარჯვნივ — სერპენსკის ოჯახი ბიჭვინთაში.

ფოტო ა. გინზბურგისა.

დანიელი პოეტი — ჩვენი სტუმარი

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში სტუმრად იმყოფება ცნობილი დანიელი პოეტი ოტო გელსტედი, რომელმაც რამდენიმე დღე დაჰყო მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში.

ივნისში ოტო გელსტედი გაგრაში ჩამოვიდა, სადაც მან რამდენიმე დღე დაისვენა მწერალთა შემოქმედების სახლში. ამავე სახლში ისვენებს ამჟამად ქართველი მწერალი დავით სულიაშვილი. ორი ქვეყნის მხცოვანი ლიტერატორები აქ დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. დ. სულიაშვილმა გელსტედს უამბო ვ. ი. ლენინთან შეხვედრის ეპიზოდები. დანიელმა პოეტმა მოიგონა, თუ როგორ თარგმნიდა „ილიადას", „ოდისეას" მშობლიურ ენაზე, ან კიდევ როგორ წერდა ანტიფაშისტურ ლექსებს, რომელიც ახალი ომის გამჩაღებლებს ამხილებს.

* * *

სურათზე: დანიელი პოეტი ოტო გელსტედი და დავით სულიაშვილი.

ფოტო და ტექსტი **ა. თოფურიასი** და **ა. ვარაქინის.**

მოსწავლის კვლევითი ნაშრომი

ამბროლაური. (საკ. კორ.). ოდიშის შვიდწლიანი სკოლის ახალგაზრდობა გულმოდგინედ ეუფლება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-დამუშავების აგროტექნიკას.

გასულ წელს სასწავლო ნაკვეთზე მოყვანილი პროდუქტებიდან სკოლამ 4000 მანეთი შემოსავალი მიიღო. ნორჩი ნატურალისტი მოსწავლე თ. კობახიძე მონაწილეობდა მე-15 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მუშაობაში. მისმა ნაშრომმა „მევენახეობისა და მეხილეობის განვითარება სოფელ ღადიშის მიკრორაიონში" კონფერენციის მაღალი შეფასება მიიღო.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მოსწავლე თ. კობახიძე საპატიო სიგელით და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საექსკურსიო საგზურით დააჯილდოვა.



სახალხო შემოსვლელები

რაზმელების მამაცობა

გურჯაანიდან თბილისისაკენ მიმავალი სატვირთო ავტომანქანა ორმა ახალგაზრდამ გააჩერა და მძღოლს სთხოვა ისინი თბილისში წაეყვანა. მძღოლმა მათი თხოვნა დაკმაყოფილა და განაგრძო გზა.

ახალი მგზავრები რატომღაც ღელავდნენ და იქ მყოფი მოქალაქეების წინადადებაზე, რომ დამსხდარიყვნენ სკამზე, უარი განაცხადეს...

— არ გაინძრეთ, თორემ გესვრით! — გაისმა ერთ-ერთი ახალგაზრდის მკაცრი ხმა და მის ხელში რევოლვერმა იელვა.

ამ დროს მეორე თამამად მიუახლოვდა მგზავრებს და ის იყო ჯიბეების გაჩხრეკას აპირებდა, რომ იქ მყოფმა გურჯაანის რკინიგზის მექანიკოსმა, სახალხო რაზმელმა ივანე სოფრომაძემ მოულოდნელად აჰკრა ხელი გაწვდილ იარაღს და ეცა ბანდიტს. სოფრომაძეს მაშინვე მიეშველა სოფელ ბაკურციხის სახალხო რაზმელი ნიკოლოზ ჭრელაშვილი. მათ დაიმორჩილეს შეიარაღებული მძარცველები და საგარეჯოს მილიციის რაიგანყოფილების მუშაკებს ჩაბარეს.

ბანდიტები აღმოჩნდნენ სოფელ ზემო ყანდაურის მცხოვრებნი ო. როსტომაშვილი და შ. მინასოვი, რომლებიც მალე წარსდგებიან საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე.

სახალხო რაზმელებმა ი. სოფრომაძემ და ნ. ჭრელაშვილმა გამბედაობითა და ვაჟკაცობით პირნათლად მოიხადეს მოქალაქეობრივი ვალი.

გ. პაპიაშვილი.

ფეხბურთი

პირველი ფრე

ამდენ მაყურებელს თბილისის „დინამოს" სტადიონზე „ბ" კლასის გუნდების მატჩზე იშვიათად შევხვედრივართ. ასეთი ინტერესი თბილისის „ლოკომოტივისა" და ერევნის „ბურევესტნიკის" გუშინდელი შეხვედრისადმი განაპირობა სატურნირო ცხრილში ფეხბურთელთა ამ კოლექტივების მდგომარეობამ. როგორც ცნობილია, თბილისელებმა ათი თამაში ისე ჩაატარეს, რომ არც ერთი ქულა არ დაუკარგავთ, ხოლო ერევნელები უკანასკნელი მატჩების ზედიზედ მოგებით ლიდერთა ჯგუფში ჩადგნენ.

თამაშის ტემპი თავიდანვე მაღალი იყო, სტუმრებს მთელი უურადღება გამახელებული ჰქონდათ კარის დაცვაზე, ამიტომ წინ მეტწილად მხოლოდ 2-3 კაცი იბრძოდა. ლოკომოტიველები ჯობნიდნენ მეტოქეს ბურთის დამუშავებაში, კომბინაციებში. მაგრამ ყოველივე ეს უშედეგო აღმოჩნდა. იმის მაგივრად, რომ გაეშალათ თამაში, ისინი ჩაბნელნ ჯგუფურ ბრძოლაში, სადაც ბურთის გატანა მოუხერხებელი აღმოჩნდა.

ყველა შესაძლებლობათა ჩამოთვლა ძნელია, რადგან ასეთი ბევრი იყო, მაგრამ 29-ე წუთზე თბილისელებმა მაინც შეძლეს ანგარიშის გახსნა. მარჯვენა ფრთიდან განხორციელებული შტურმი დამთავრდა ხაზარაძის დარტყმით, ბურთი მოხვდა ერევნელ მცველს ნალბანდიანს და კარში შეგორდა.

პირველი ტაიმი ლოკომოტიველებმა თავიანთ სასარგებლოდ (1:0) დაამთავრეს.

შეჯიბრების მეორე ნახევარი ერთ კართან ვარჯიშს უფრო წააგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ მატჩს, მაგრამ თბილისელებმა, რომლებიც გაერთვნენ ინდივიდუალური თამაშით, ზედმეტი დრიბლინგებით, დაკარგეს არა ერთი და ორი შესაძლებლობა. სამაგიეროდ სტუმრები სულ რაღაც 3-4-ჯერ გაიჭრნენ კარისაკენ, 2-ჯერ დაარტყეს კარში და მათ შორის ერთი 30-ე წუთზე გოლით დააგვირგვინეს. ბურთი გაიტანა მარცხენა შუამარბმა კარტაშიანმა.

დარჩენილ წუთებში ლოკომოტიველები ნერვიულობდნენ, ანგარიში უცვლელი დარჩა — 1 : 1.

ახალი წიგნები

„დიდოსტატის მარჯვენა" სომხურ ენაზე

ახლახან მოძმე სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ „ჰაიპეტრატმა" სომხურ ენაზე გამოსცა კ. გამსახურდიას ცნობილი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა".

რომანს თან ერთვის ავტორის წინასიტყვაობა — „დიდოსტატის მარჯვენის" სომხურად გამოცემის გამო".

საგულისხმოა წინასიტყვაობის ის სტრიქონები, რომლებშიც მწერალი სომეხ მკითხველებს ჰპირდება ცალკე ნოველას ან რომანის შექმნას ქართველ-სომეხთა ისტორიული მეგობრობის თემაზე. ეს უაღრესად კეთილი განზრახვა სავსებით დროული ნაბიჯი იქნება ამიერკავკასიის ხალხთა კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობაში. ამ ცნობას, უეჭველია, გულთბილად მიიღებენ როგორც ქართველი, ისე სომეხი მკითხველები.

„დიდოსტატის მარჯვენის" სომხურ გამოცემას დართული აქვს სომეხი მწერლის, წიგნის რედაქტორის პაიაზატის ბოლოსიტყვაობა.

წიგნს დართული აქვს ავტორის პორტრეტი და ჩასმულია მაგარ ყდაში.

სომხურ ენაზე კ. გამსახურდიას ამ რომანის გამოცემა დიდ კულტურულ და მისასალმებელ მოვლენად მიიჩნია მოძმე სომხეთის პრესას. რესპუბლიკური გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევენ „დიდოსტატის მარჯვენის" სომხურად გამოქვეყნებას.

ქართველი პოეტი ქალების ლექსები რუმინულ ანთოლოგიაში

წელს ბუქარესტში ცნობილი რუმინელი პოეტის ვერონიკა პორუმბაკუს საერთო რედაქციით გამოიცა მსოფლიოს პოეტი ქალების ლირიკის ანთოლოგია. წიგნში მოთავსებულია საბერძნეთის, ბელგიის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბერძნეთის, იაპონიის, მექსიკის, არგენტინის, ბრაზილიის, ინდოეთის, ისრაელის, ავსტრალიის, ესპანეთის, სულ 41 ქვეყნის ყველა დროის გამოჩენილ პოეტ ქალთა ლირიკული ნაწარმოებები.

ქართველი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება ის ფაქტი, რომ ანთოლოგიაში დაბეჭდილია ქართველი პოეტების **მაყვალა მრევლიშვილისა** და **ანა კალანდაძის** ლექსები.

„რევოლუციის ჯარისკაცი"

ასე ეწოდება წიგნს, რომელიც მიძღვნილია საბოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ვასილ კიკვიძისადმი. წიგნი გამოსცა მოსკოვის პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ.

ხანმოკლე, მაგრამ ბევრი გმირული საქმით სავსე იყო ამ შესანიშნავი ადამიანის ცხოვრება, — ნათქვამია შესავალ წერილში. — შე-16 დივიზიამ, რომელსაც ვასილ კიკვიძე ხელმძღვანელობდა, სამოქალაქო ომის პირველი დღეებიდანვე მოიპოვა სახელი და დიდება თავისი შეუპოვარი ბრძოლით მოწინააღმდეგეთან.

წიგნში თავმოყრილია ვ. კიკვიძის თანამებრძოლების, სამოქალაქო ომის მონაწილეების ს. მედვედევსკის, კ. ერიომინის, ნ. ბოგდანოვის, ა. პეტრენკოს, ე. პეტროვსკის და ი. იკონიკოვის მეტად საყურადღებო მოგონებები.



□ **შვეიცარიის** ქალაქ ციურიხში მიმდინარეობს საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელიც აღინიშნა სპორტსმენთა მაღალი შედეგებით. ამ ასპარეზობაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენმა ა. ხარომ 100 მეტრი გაირბინა 10 წამში და 0,1 წამით გაუმჯობესა მსოფლიო რეკორდი.

□ **სპორტის** მოყვარული საზოგადოებრიობა შეუნელებელი ინტერესით მოელის ევროპის თასის გათამაშების დასკვნით მატჩებს ფეხბურთში სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის გუნდების მონაწილეობით. ფინალური შეჯიბრების მსაჯად დანიშნულია ინგლისელი მსაჯი ელლისი, ხოლო სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მსაჯებად იტალიელი მსაჯები.

□ **ამსტერდამში** დამთავრდა მსოფლიოს პირველობის გათამაშება ხელბურთში ქალთა გუნდებს შორის. ნემპიონის სპატიო წოდებისათვის იბრძოდნენ 6 ქვეყნის ნაკრები კოლექტივები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთისა და ავსტრიის გუნდები. რუმინელებმა შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩაატარეს, გაიმარჯვეს ანგარიშით 10:2 და მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს.

ამინდი

ხვალ და ზეგ რესპუბლიკაში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმები, ალგა-ალაგ ჭიქა-ჭუხილით, უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში, სუხტი, მტკვრის ხეობაში ზომიერი ძლიერამდე ქარი.

დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია ტემპერატურა ღამით 10-15, დღისით 20-25 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 6-11, დღისით 14-19 გრადუსი.

დაახლოებით ასეთივე ტემპერატურა მოსალოდნელია აღმოსავლეთ საქართველოშიც — დაბლობ რაიონებში ღამით 10-15, დღისით 21-26 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 5-10, დღისით 13-18 გრადუსი.

ამინდის ბიუროს ცნობით, ივნისის ბოლომდე ტემპერატურის საგრძნობი აწევა მოსალოდნელი არ არის.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

უნიკალური მონეტები

საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინებულია უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა და დიდძალი ძველი მონეტები. გარდა ამისა, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში მრავლად შემოდის მიწის სამუშაოების დროს მშენებლებისა და კოლმეურნეების მიერ შემთხვევით აღმოჩენილი ნუმიზმატიკური ნიმუშები.

წარსული დროის ამ თითქოს უტყვი ძეგლების საშუალებით მრავალ ისტორიულ მოვლენას მოეფინა ნათელი, მრავალ სადავო საკითხში შეტანილია არსებითი კორექტივი. მაგალითად, ჩაის პლანტაციების დამუშავების დროს ქობულეთში აღმოჩენილმა წვრილი კოლხური მონეტების განძმა საშუალება მისცა მეცნიერებს ერთი საუკუნით გადაეწიათ კოლხური მონეტების მცირე ნომინალების მოჭრის თარიღი. ამჟამად ეს მონეტები თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნით.

მრავალი წლის მანძილზე სადავოდ ითვლებოდა საკითხი, თუ რომელი ქვეყნის (თრაკიის, ბოსფორის თუ სარმატიის) მმართველს ეკუთვნოდა სახელი აკი? და მხოლოდ მონეტამ, რომელიც რამდენიმე წლის წინათ შემოვიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის ვ. ქუთათელაძის მეშვეობით გადაწყვიტა მეცნიერთა დავა. ამ მონეტას საშუალებით დადგინდა, რომ სახელი ეკუთვნის ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის კოლხეთის მეფეს.

აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთის კოლმეურნემ გვადაშიამ მიწის სამუშაოების დროს აღმოაჩინა თიხის ქილა, რომელშიც ჩვენი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეების 400-ზე მეტი რომაული დინარი იყო, ხოლო ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნემ ლობჟანიძემ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოიტანა VI საუკუნის 50-მდე სასანური დრამა და VII-X საუკუნეების 500-ზე მეტი არაბული დირჰემი. აღნიშნული მონეტები მნიშვნელოვანი შენაძენია მეცნიერებისათვის.

ძალიან საინტერესო იყო XV-XVI საუკუნეების ჯერ უცნობი ქართული მონეტების განძების აღმოჩენა გორში, ყაზბეგის რაიონში (ძველი ტაძრის ნანგრევებზე) და წულუკიძის რაიონის სოფ. პატარა ჯიხაიშში.

თბილისის რაიონის სოფ. ნორიოში მიწის სამუშაოების წარმოებისას კოლმეურნე ნიკოლაიშვილმა იპოვნა თაფლის სანთლით ამოვსებული ქილა. მისი გახსნის შემდეგ შიგ აღმოჩნდა ტილოს ქისა, რომელიც შეიცავდა XVII-XVIII საუკუნის თბილელ მონეტებს.

ასეთი მაგალითების დასახელება კიდევ შეიძლება. მაგრამ აქ გვინდა მხოლოდ შევნიშნოთ, რომ ამ მასალებმა საშუალება მისცა მეცნიერებს გამოექვეყნებინათ ქართული ნუმიზმატიკისადმი მიძღვნილი რამდენიმე ათეული შრომა, რომლებითაც დაინტერესდნენ უცხოელი კოლეგები და მათაც, თავის მხრივ, ხელი მოჰკიდეს ქართული მონეტების შესწავლას. ახლა მსოფლიოს მეცნიერულ ასპარეზზე სულ უფრო ხშირად ჩნდება ქართული ნუმიზმატიკისადმი მიძღვნილი უცხოელ მეცნიერთა შრომები.

ჩვენი მეცნიერებისათვის უაღრესად სანტერესო იყო გასულ წელს პრაღაში გამოქვეყნებული ე. პოხიტონოვის სტატია, სადაც აღწერილია უძველესი კოლხური მონეტები, რომლებიც იჭრებოდა ძველი წელთაღრიცხვის VI-III საუკუნეებში. მათ შორის აღმოჩნდა მეცნიერებისათვის უცნობი მონეტა, რომელიც, ეჭვგარეშეა, დაეხმარება მეცნიერებს ძველი კოლხეთის ღვთაებათა პანთეონის განსაზღვრაში.

ქართული ნუმიზმატიკური ძეგლებისადმი ასეთსავე ინტერესს იჩენენ გერმანელი მეცნიერებიც. გერმანელი კოლეგების თხოვნით ბერლინში გაიგზავნა და ჟურნალ „ბიბლიოთეკა კლასიკა ორიენტალისში" გამოქვეყნდა ქართველ მეცნიერთა რამდენიმე სტატია.

ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა, ქართველოლოგმა დ. ლენგმა ამ რამდენიმე წლის წინ ნიუ-იორკში გამოაქვეყნა კაპიტალური ნაშრომი, მიძღვნილი ქართული ნუმიზმატიკისადმი. ნაშრომის ქრონოლოგიური დიაპაზონი ძალიან ფართოა. აქ თავმოყრილია ქართული მონეტები, რომლებიც იჭრებოდა ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნედან ვიდრე XIX საუკუნემდე. დ. ლენგის წიგნში შეკრებილია დღემდე უცნობი მონეტები: საქართველოს მეფის ბაგრატ III-ის, XI საუკუნის თბილისის ამირასი და სხვ.

ინგლისელი მეცნიერის უკანასკნელი გამოკვლევა და მის მიერ ბრიტანეთის მუზეუმში მიკვლეული დავით აღმაშენებლის მონეტის აღწერილობა მეტუველებს იმ ინტერესზე, რომელსაც სულ უფრო მეტად იჩენენ უცხოელი კოლეგები ქართული ნუმიზმატიკის მიმართ. საყურადღებოა, რომ ეს უნიკალური მონეტა 100 წელზე მეტია ბრიტანეთის მუზეუმშია, მაგრამ რა გზით მოხვდა შორეულ ინგლისში, ეს ჯერჯერობით გაურკვეველია.

მონეტის ერთ მხარეზეა მეფის გამოსახულება, ხოლო მეორეზე მოცემულია მისი სრული ტიტულატურის ასომთავრული ზედწერილი: „დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა და სომეხთა" 1123 წელს სელჯუკებზე გამარჯვების შედეგად დავითმა სომხეთი მუსლიმანთაგან გაათავისუფლა და საქართველოს შეუერთა.

პროფესორმა დ. ლენგმა ჩვენს მუზეუმში გამოგზავნა ამ მონეტის თაბაშირის ანაბეჭდი. ჩამოსხმული მისი ლითონის პირი ამჟამად საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციაშია.

დ. კაპანაძე,

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

* * *

სურათზე: დავით აღმაშენებლის უნიკალური მონეტა.

ფოტო **ბ. დადვაძისა.**

სასამართლოს დარგაზიდან

მხეცები...

ლამაზია ზაფხულობით ხაშურის რაიონის მთაგორიანი სოფლები მარადმწვანე ნაძვნარებით, მოჩხრიალე ყინულივით ცივი ნაკადულებით, მობინინე ხასხასა ველ-მინდვრებით. განსაკუთრებით კარგია დილაობით, როდესაც ტყე რძისფერ ნისლშია გახვეული და სოფლის გოგო-ბიჭები ნოყიერი ბალახისაკენ მიერეკებიან საქონელს.

ერთ მზიან დღეს ასევე სიხარულით გარეკა თავისი საქონელი ტყისაკენ ხაშურის რაიონის სოფელ ჯვარშუხის მცხოვრებმა გოგონამ 16 წლის ნანული გოგოლაძემ...

შუადღისას ორი ახალგაზრდა, ხაშურის რაიონის სოფელ თაგვეთის მცხოვრებნი ავთანდილ და შოთა ტაბატაძეები ბრუნდებოდნენ გომის მთიდან, სადაც ვენახის ლერწის ასაკრავი მასალის მოსატანად ყოფილიყვნენ.

დაწინაურებული ავთანდილ ტაბატაძე დაქანებულ ბილიკზე ჩადიოდა, როდესაც თმოგვის ღელესთან ახალგაზრდა გოგონას ნანული გოგოლაძეს შეავლო თვალი. მას მოჭრილი მინდვრის ცოცხი კონებად დაეწყო და შინ წასაღებად ჰკრავდა.

ა. ტაბატაძემ იფნის ქერქის კონა ძირს დაადო, მგლური თვალებით აქეთ-იქით გაიხედა, წალდი მოიმარჯვა, გოგონას ზურგიდან მიეპარა და მხეცივით ეცა. გოგონამ მორთო ყვირილი, ტირილი, რაც შეეძლო გაეძახლანდა. ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა.

ა. ტაბატაძემ გოგონა რომ ვერ დაიმორჩილა, ბიჭში დანა ჩასცა. ნანულის ხელები ძირს დაუვარდა და მუხლები ჩაეკეცა. გამხეცებულმა ა. ტაბატაძემ ხელ წალდს წამოავლო და მიწაზე უგონოდ გაშოტილ ქალიშვილს წალდის ერთი მოქნევით თავი მოჰკვეთა.

მკვლელის ზურგს უკან ტოტების შრიალი გაისმა, ეს შ. ტაბატაძე იყო, რომელიც მკვლელს იმ დროს წაადგა თავზე, როდესაც იგი გოგონას მოჭრილ თავს ხელში უაზროდ აკრიალებდა.

— ბიჭო, ეს რა გიქნია, — შეჰყვირა შ. ტაბატაძემ, — ხომ იცი, ამისთვის კარგი დღე არ დაგადგება. აბა ჩქარა თავი აგერ ბუჩქებში დავმალოთ, გვამი კი ხევში ჩავაგდოთ.

ამის თქმაზე ორთავემ გვამი ხევში ჩაადგეს, თავი კი ბუჩქებში დამალეს და ძუნძულით სოფლისაკენ გასწიეს.

შიდამდა. ნანულის მამა სვიმონი ამაოდ ეძებდა თავის გოგონას ტყეში. ნანული იმ ღამეს არ დაბრუნებულა.

სოფელი შეაშფოთა ნანულის დაკარგვამ. მეორე დღეს სოფლის ყველა მცხოვრები გამოვიდა მის საძებრად და, რაღდენ დიდი იყო ყველას შეძრწუნება, როდესაც ხევში ჩაგდებული იპოვნეს ნანული გოგოლაძის უთავო ტანი (თავი იმავე ღამეს ბოროტმოქმედმა მალულად ამოიღო ბუჩქიდან, ქვით დაჩეჩქვა და წყალს გაატანა).

მთელი რაიონი აღაშფოთა ამ გაუგონარმა მკვლელობამ. სოფელი მოითხოვდა დამნაშავის სასტიკად დასჯას. მკვლელსა და მის ხელისშემწყობს მალე მიაგნეს.

გარეწარს, ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო, მომძალადისა და მკვლელის საქმე გაარჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ. ავთანდილ ივანეს-ძე ტაბატაძეს გამოუტანა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. შოთა სანდროს-ძე ტაბატაძეს მიეცა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ა. ი. ტაბატაძის მიმართ გამოტანილი განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

ზ. მესხენგისერი.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, ხაილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის—3-08-67, განცხადებების მიღებისა—3-64-42.

24 ივნისი

თეატრები: მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები — ასეთი სიყვარული (ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში), **მარჯანიშვილის სახელობის** — ჩარლის დეიდა, **ფილარმონიის საზაფხულო** — ალქაჯის მოწაფე (მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები).

კინოები: **რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზაფხულო), **ოქტომბერი, თბილისი, საქართველო** (საზაფხულო), **კოლხიდა** (საზაფხულო და საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **კროვის სახელობის პარკი, გაზაფხული** — რომაული არდადეგები, **ამირანი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ვაკის პარკი** — თორმეტი ქუჩის ზღაპარ